ხაშურის მოამბე

№3 (254) 27 იანვარი, ორშაბათი 2020 წელი

- კალათბურთი -

– უმნიშვნელოვანესი მოვლენა ხაშურის სპორტის ისტორიაში –

ქართული სუპერლიგის ALL STAR-ი ხაშურში გაიმართება

სულ რაღაც 3-4 წლის უკან, ამაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. ან, როგორ უნდა გეოცნება კაცს, როდესაც ამისათვის ჩვენს ქალაქს არც შესაბამისი დარბაზი და არც შესაბამისი ინფრასტრუქტურა გააჩნდა. ახლა კი, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების მართლაც შესაშური მონდომებითა და

ცენტრალური ხელისუფლების თანადგომით, ბრწყინვალე, ევროპული სტანდარტების შესაფერისი სასპორტო კომპლექსი გვაქვს, სადაც უმაღლესი დონის შეხვედრების მასპინძლობაა შესაძლებელი, ოცნება რეალობად იქცა. დიახ, ხაშური, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგის „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ მასპინძელი იქნება. ეს მართლაც უდიდესი მოვლენაა ჩვენს სასპორტო ცხოვრებაში და, სიმართლე გითხრათ, არც მახსენდება ჩვენს ქალაქში ჩატარებული სხვა სპორტული მოვლენა, რომელიც „წონით“ უფრო „მძიმე“ იქნებოდა. საოცარი სანახაობა ელის ყველას და აქ მხოლოდ კალათბურთის მოყვარულები არ იგულისხმებიან. დიდი თუ პატარა იხილავს უმაღლესი დონის კალათბურთს და, რაც მთავარია, რაც ასე უხდება ასეთ მატჩებს – იქნება შოუ, სადაც სამქულიანების და ჩატენვების კონკურსი გაიმართება.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, აქ ერთმანეთს ადგილობრივი და ლეგიონერებისგან დაკომპლექტებული გუნდები დაუპირისპირდებიან. სასტარტო ხუთეულები, ტრადიციულად, გამოკითხვის შედეგად დაკომპლექტდება, ხოლო სათადარიგოებს მწვრთნელები დაასახელებენ. ადგილობრივების (ქართველი კალათბურთელების) გუნდს გია კაზანჯიანი („ბათუმის“ მთავარი მწვრთნელი) უხელმძღვანელებს, ხოლო ლეგიონერებს – მუჰამედ ტაჩი (თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი).

სნაიპერთა კონკურსში მიმდინარე სუპერლიგის სამქულიანების საუკეთესო მსროლელები მიიღებენ მონაწილეობას.: საბა ლობჟანიძე („რუსთავი“), შონ რაუნდთრი („ქუთაისი“), სანდრო სანაძე („თსუ“), გიორგი ვახანია („ვერა“) და ჯეიმს მილიკენი („ქუთაისი“). რაც შეეხება ჩატენვების კონკურსს, მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

მაშ ასე, 29 იანვარი, 18 საათი, ხაშურის სასპორტო კომპლექსი – ALL STAR -ი ყველას გელოდებათ. დასწრება თავისუფალია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

21 იანვარს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც

უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი.

სესიაზე, დეპუტატებმა, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №649 და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 დეკემბრის №655 დადგენილების საფუძველზე, დაამტკიცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები.

საკრებულოს წევრებმა თანხმობა მისცეს სს „სილქნეტს“, რომელიც ითხოვდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან 17,3 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის იჯარით აღებას.

ამავე სესიაზე, დეპუტატებმა, თანხმობა მისცეს მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 იანვრის №43 განკარგულებით გადმოცემული 40,25 მ³ მე-2 ხარისხის (საშეშე) ხე-ტყის სოციალურად გაჭირვებულ პირებზე გადაცემის თაობაზე.

სხდომის ბოლოს, საკრებულომ შეითანხმა მუნიციპალიტეტში, 2020 წელს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა.

საკრებულოს მორიგი სხდომა თებერვლის თვის დასაწყისში გაიმართება.

საქველმოქმედო აქცია - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ორგანიზებით

საუნივერსიტეტო კლინიკა “ვივამედში” ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 20 სოციალურად დაუცველ პაციენტს სხვადასხვა სახის სამედიცინო კვლევები ჩაუტარდა.

საქველმოქმედო აქცია ორგანიზაცია “ქართული ოცნება - ჯანმრთელი მომავალი”-ს ინიცირებით და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის - გიორგი გურასპაშვილის ორგანიზებით მოეწყო.

კვლევების შედეგების საფუძველზე, პაციენტთა ნაწილს სტაციონარული მკურნალობა ასევე საქველმოქმედო საწყისებზე უტარდება.

მსგავსი ხასიათის საქველმოქმედო სამედიცინო აქციები სამომავლოდაც გაგრძელდება



ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების“ საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, 2019 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშით წარდგა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველი თათია ბროლიძე. პრეზენტაცია მოიცავდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გასულ წელს განხორციელებულ პროექტებს, დანერგილ სიახლეებსა და არსებულ გამოწვევებს.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე **მამუკა წიქარიშვილი.**

ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწე-

სებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების მიზანია ჩამოაყალიბოს უსაფრთხო და ინოვაციური სკოლამდელი აღზრდის გარემო, უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურების ხარისხის მდგრადობა, ხელი შეუწყოს სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პროცესს, ხელი შეუწყოს სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში ინკლუზიური განათლების პროცესს, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში სააღმზრდელო პროცესის ოპტიმალურად წარმართვას, ფიზიკური გარემოს ძირითადი მახასიათებლების და უსაფრთხოების პრინციპებთან დაკავშირებული საკითხების უზრუნველყოფის, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ინფრასტრუქტურულ განვითარებასა და გაუმჯობესებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ ფუნქციონირებს 18 საბავშვო ბაღი, აქედან, სამი გაიხსნა 2019 წელს: რეაბილიტაცია ჩაუტარდა ტეზრის და სატივის საბავშვო ბაღებს, აშენდა 8 საბავშვო ბაღის შენობა, რომელსაც დაემატა ერთი ჯგუფი და გათვლილია სულ სამ ჯგუფზე. კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა გომის საბავშვო ბაღს და დაემატა ერთი ჯგუფი.

საბავშვო ბაღებში არის 62 ჯგუფი ,მათ მომსახურეობას უწევს 338 თანამშრომელი, მათ შორის: 62 – აღმზრდელი, 67–აღმზრდელის თანაშემწე და 209 – დანარჩენი მომსახურე პერსონალი, საბავშვო ბაღებში რეგისტრირებულია 2000 აღსაზრდელი.

ბაღებში დანერგილია და ასევე მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა სასკოლო მზაობის პროგრამებზე, მეთოდისტებმა გაიარეს განათლების სამინისტროს მიერ დაგეგმილი ტრენინგი.

მეხუთე საბავშვო ბაღის ბაზაზე, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, გაიხსნა კაბინეტი, სადაც მათ კვალიფიციურ დახმარებას უწევენ თბილისიდან ჩამოსული სპეციალისტები. პარალელურად, მიმდინარეობს სპეც. მასწავლებლების მომზადება, რომლებიც მიიღებენ გერმანულ-ქართულ სერთიფიკატებს.

2019 წელს, მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული ყველა საბავშვო ბაღში, როგორც ინფრასტრუქტურული ქსელის გაფართოების, ასევე, ცალკეული საბავშვო ბაღების ახალი - ხანგრძლივი მოხმარების ინვენტარით აღჭურვის საქმეში, საბავშვო ბაღების უმრავლესობაში შეიცვალა ლეიბები,საბნები,ქსოვილი და სხვა ნივთები.

კეთილმოწყობისა და დასრულების სამუშაოები ჩატარდა სხვა საბავშვო ბაღებშიც,რაც გულისხმობს გამწოვი სისტემების დამონტაჟებებს,ფარდა-ჟალუზებით აღჭურვას,მიმდინარე რემონტებს.ყველა საბავშვო ბაღის შენობა, გარდა წრომის საბავშვო ბაღისა, გაზიფიცირებულია და უზრუნველყოფილია ცენტრალიზებული გათბობით.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საბავშვო ბაღებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სუბსიდიების მიზნობრივი ხარჯვის საკითხებს .2019 წლისათვის, განსაზღვრული იყო 2 000 000 ლარი ,რომელიც მთლიანად იქნა ათვისებული. მოცემულ პერიოდში, გამოცხადებული იქნა 40 ტენდერი. ხარჯების დაფინანსების კუთხით, შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 1 127 064 ლარი,საოფისე ხარჯებში აისახა 422640 ლარი,საიდანაც 218 857 ლარი მოდის კომუნალურ ხარჯებზე ,ხოლო საოფისე და რბილი ავეჯის შეძენაზე დაიხარჯა 104162 ლარი, კვების ხარჯებს მოხმარდა 382531 ლარი,-ძირითადი ფონდების განახლებას და არაფინანსური აქტივების ზრდას მოხმარდა 45203 ლარი,აღნიშნული თანხით შეძენილი იქნა მაცივრები, გაზქურები, სამზარეულოს გარნიტურები,სასაწყობო სტელაჟები, სამზარეულოს გამწოვი სისტემები და შესრულებული იქნა აგრეთვე სხვა კაპიტალური სამუშაოები.

საახალწლოდ ყველა აღსაზრდელმა მიიღო საახალწლო საჩუქარი, საჩუქრებისთვის დაიხარჯა სულ 13500 ლარი.

მიმდინარე წელს, სექტემბრის თვიდან, გათვალისწინებულია შრომის ანაზღაურების 15-20%-ის ფარგლებში ზრდა .

ახალი პროექტი სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის

21 იანვარს, ხაშურის ადმინისტრაციულ შენობაში, ფერმერებთან და სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ პირებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა(GIPA) და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციამ „ელკანა“. შეხვედრაზე დამსწრეებს ახალი პროექტის შესახებ ემცნო, რომელსაც საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) პარტნიორ ორგანიზაციებთან: „ელვა - საზოგადოებრივი ჩართულობა“, „ვარნას ეკონომიკური განვითარების სააგენტო“ და „სმარტ განვითარების ცენტრთან“ ერთად ახორციელებს. ეს გახლავთ „შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროექტი”, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში სავაჭრო შესაძლებლობების გაძლიერებას და მოდერნიზებას, თანამედროვე ინოვაციური ონლაინ პლატფორმის – AgroNet –ის შექმნისა და პილოტირების გზით. ინოვაციური ონლაინ სავაჭრო სივრცის შექმნა, ეფექტიანი და მოქნილი პლატფორმის სახით, პირდაპირ სარგებელს მოუტანს სოფლის მეურნეობაში მოქმედ და სავაჭრო ურთიერთობებში ჩართულ კერძო და საჯარო პირებს. პროექტის მსვლელობისას განხორციელდება პლატფორმის პილოტირება შავი ზღვის აუზის სამი ქვეყნის საქართველოს, ბულგარეთის და რუმინეთის რეგიონულ დონეზე.

თამარ ჟღენტი (GIPA-ს წამომადგენელი): „პროექტი მიზნად ისახავს მოქნილი ონლაინ სივრცის შექმნას, სადაც სასოფლო-სამეურნეო ვაჭრობასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია თავმოყრილი და ხელმისაწვდომი იქნება ერთ სივრცეში, უფასოდ. ამასთან, ონლაინ სივრცე იქნება დია სხვადასხვა მომხმარებლებისათვის. წყაროები მოიცავს, მრავალენოვან, დახარისხებულ ინფორმაციას ეროვნული კანონმდებლობის, რეგულაციების, სტანდარტების, ბაზრის ტენდენციებისა და სხვა სახის ინფორმაციების შესახებ. გარდა ამისა, პლატფორმას ექნება გზამკვლევის ფუნქცია, თუ რა, სად და როგორ უნდა გაყიდონ ან შეიძინონ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო საქონელი ან მომსახურება.”

ონლაინ სასოფლო-სამეურნეო სავაჭრო პლატფორმა დაეხმარება ფერმერებს, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებს, საცალო და ბითუმად მოვაჭრეებს, ექსპორტიორებს, სასაწყობე და სხვა საწარმოებს, გაიუმჯობესონ თავიანთი საქმიანობა სოფლის მეურნეობის სფეროში, მიუახლოვდნენ სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტებს და მოიძიონ სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში არსებული უახლესი ინფორმაცია.

ონლაინ პლატფორმაზე განთავსდება საქართველოს საინფორმაციო პორტფოლიო სოფლის მეურნეობის ვაჭრობის თემაზე, სადაც თავმოყრილი იქნება ისეთი წყაროები, როგორიცაა სხვადასხვა ნაშრომები, კვლევები, სამართლებრივი დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და ა.შ. დაგემილია, რომ პლატფორმაზე დარეგისტრირდება მინიმუმ 150 მომხმარებელი, რომელიც დაინტერესებული იქნება სავაჭრო პარტნიორების მოძიებით. გარდა ამისა, პლატფორმაზე დარეგისტრირდებიან კერძო და საჯარო ორგანიზაციები, რომლებიც გააზიარებენ საჯარო ინფორმაციას.

შეხვედრის ორგანიზება უზრუნველყო სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრმა.

ეს - ჩვენი ისტორიაა, ეს - ჩვენი წარსულია...

კომუნისტურმა ეპოქამ საქართველოს კი არა, ათეულობით ქვეყანას და მილიონობით ადამიანს დაასვა დაღი. მთელი 70 წელი იცხოვრა ქართველმა ხალხმა ამ რეჟიმში და თუ დღეს ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ გაიმართა წელში, გარკვეულწილად, ისევ იმ ეპოქის დამსახურებაა. დღეს მკითხველს 1938 წელს, ხაშურში გამომავალი ადგილობრივი გაზეთის („ბოლშევიკური სიტყვა“) მცირე სტატიებს ვთავაზობთ, რომელშიც ნათლად ჩანს კომუნისტური მარწუხებიც და იმ ბნელი წლების საშინელებებიც.

დღევანდელი გადასახედიდან, ეს სტატიები ოდნავ ღიმილის მომგვრელია, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა ხდებოდა მაშინ.

მაშ ასე, 1938 წელი...

მხურვალე მადლობა ბელადს

ბედნიერი ახალგაზრდობა გვაქვს, აღტაცებით და გამარჯვებით ვზეიმობთ დიად დღესასწაულს. ჩემს სიცოცხლეში საბჭოთა ხელისუფლებამ და დიდმა სტალინმა შეჰქმნა ნამდვილი, სამარადისო გაზაფხული, საამური ცხოვრება და განა მარტო ჩემს სიცოცხლეში, ათასებს, მილიონებს აჩუქა მან ბედნიერება.

ჩემი ბავშვობა მენშევიკების ბატონობის წლებში გაიპარა, უსწავლელი ადამიანი უნდა ვყოფილიყავ, სიდუხჭირეში უნდა დალეულიყო ჩემი სიცოცხლეც, მაგრამ გვიშველა ჩვენი მშობლებისა და უფროსი ძმების შეიარაღებული ბრძოლით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ.

ღარიბმა, 16 წლის სოფლელმა ბიჭმა 1926 წელს დავიწყე ცხოვრების ანბანის შესწავლა, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლის დასრულების შემდეგ, 5 წლის განმავლობაში საშუალო პედაგოგიური განათლება მივიღე და დღეს მასწავლებელი ვარ. ყოველდღიური მზრუნველობით ჩემს ქვეყანას მომავალ ექიმებს, ინჟინრებს, მასწავლებლებს და მეცნიერ მუშაკებს ვუზრდი. ესაა ჩემი ბედნიერება, ჩემი სიხარული.

კომკავშირმა აღძრა ჩემში მარქს-ენგელს, ლენინ-სტალინის მოძღვრების გულდასმით შესწავლის სურვილი, მანვე მასწავლა საკუთარი მოვალეობისადმი ნათელი პასუხისმგებლობის გამოჩენა და დღეს, გამარჯვებათა 20 წლის თავზე ფიცს ვაძლევ სამშობლოს: ჩემი ყოველი შესაძლებლობა შენია, და მრისხანე ჟამს, თუკი მტრები თავს დაგვესხმიან, ჩემს ახალგაზრდულ სიცოცხლეს, სისხლის წვეთწვეთად შევწირავ შენი დიდებისა და სიმდიდრის დაცვას.

არჩ. ბარბაქაძე,
ხაშურის მე-4 სრული საშუალო სკოლის მასწავლებელი

მოწინავე მესაუბრე-წამკითხველი

ხაშურის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეებს ენერგიული მესაუბრე-წამკითხველი ჰყავთ ამხანაგ გრ. ჭკუასელის სახით. ამხანაგი გრიშა ყოველ დასვენებაზე, როცა მისი მსმენელები სადმე შეჯგუფდებიან, მათ გაზეთს უკითხავს ჩვენი ქვეყნის და საერთაშორისო საკითხების ირგვლივ. ამხ. გრიშას თავის მუშაობაში დიდ დხმარებას უწევს მსმენელთა დაინტერესება და აგრეთვე ისიც, რომ აგიტსაუბარზე დასწრებას და დამუშავებულ საკითხების აღრიცხვას ზუსტად და სისტემატურად ახდენს.

ს. სლანოვი

იშვიათი შემთხვევა

ამას წინათ, სოფელ პ. სატივეში მცხოვრებ სიმონ მაჭარაშვილის ფურ-კამეჩმა მოიგო ერთი ზაქი, რომელსაც ჰქონდა სამი თვალი, ორი ცხვირი და ოთხი ყური.

ზაქის ცხვირი, ორი თვალი და ორი ყური ჩვეულებრივად იყო, მხოლოდ ერთი თვალი და ცხვირი თავის ორივე ყურით ზაქის თავის მაღლა იყო დაკავშირებული. ზაქს სამივე თვალებიდან კარგი მხედველობა ჰქონდა და ყველა ორგანო ჩვეულებრივ მოძრაობაში იყო.

ზაქმა რამდენიმე საათს იცოცხლა და მოკვდა.

ვ. კვინიკაძე

მშრომელთა წერილები
მუშაობა ახლაც ცუდად წარმოებს

გასულ სასწავლო წელს რაიონში ხალხის უბოროტესმა მტრებმა ჩაშალეს წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციის საქმე-2969 უცოდინარიდან გამოშვებულ იქნა მხოლოდ 44 კაცი.

წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისთვის ბრძოლა ახლაც არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ცხრამუხის, ცოცხნარის, ვაყის და დირბის სასოფლო საბჭოებში წერა-კითხვის უცოდინარობის საქმეზე სკოლის ყველა დირექტორი და მასწავლებელი არ მუშაობს. სოფელ ქემფრის დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა, ე. ბარბაქაძემ ლიკსკოლის მეცადინეობა 12 დღეს გააცდინა. დირბის სასოფლო საბჭოში მეცადინეობა დღეგამოშვებით წარმოებს, სკოლის დირექტორი კი ასეთ ამბავს ყურადღებას არ აქცევს.

დროა, წერა-კითხვის უცოდინარობას და მცირემცოდნეობას ბოლო მოეღოს.

აკ. მაღლაკელიძე

საკადრისი პასუხი მიიღეს

15 მარტს, სურამის სარეწაო არტელების მუშა-მოსამსახურეთა მფრინავ მიტინგზე მოსმენილი იქნა ამხანაგ გ. ლეჟავას ინფორმაცია უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ “მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის” მიმართ გამოტანილ განაჩენის შესახებ, მუშები მქუხარე ტაშის გრიალით შეხვდნენ ღირსეულ განაჩენს, ხალხის მტრების მიმართ.

სიტყვით გამოსული ამხანაგები: მ.ჯანაშვილი, გ. ხარაზოვი, გ. ამირგვეტლაშვილი და სხვები უდიდესი ზიზღით იხსენებდნენ პირსისხლიანი აგენტების საშინელ საქმიანობას, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას გამოსტაცეს ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანები: ს. კიროვი, ა. გორკი, კუიბიშევი და სხვა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს უმაღლესი სასამართლოს განაჩენი ხალხის მტრების მიმართ. ისინი ბოლშევიკურ სიტყვას აძლევენ ლენინ-სტალინის პარტიას, რომ კიდევ უფრო დაირაზმებიან და გაანადგურებენ იმათ, ვინც წინ აღუდგება ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილ წარმატებას.

სტალინურმა კონსტიტუციამ უზრუნველჰყო ჩვენი ბედნიერება

ორი წელი გვაშორებს იმ ისტორიული დღიდან, როდესაც საბჭოების მე-8 საკავშირო საგანგებო ყრილობაზე მშრომელთა საყვარელმა ბელადმა, დიდმა სტალინმა წინ გადაგვიშალა თავისუფლების დიდი ქარტიის-სტალინური კონსტიტუციის რაობა და მნიშვნელობა. აქ, ამხანაგმა სტალინმა სასტიკად გაამათრახა ყველა ისინი, რომლებიც თვლს ხუჭავდნენ და არა სურდათ და არც სურთ ისტორიაში ჯერ არნახული , რაც მოპოებულია და ოქროს ასოებით აღნიშნულია სტალინურ კონსტიტუციაში.

ჩვენი ბედნიერება სამარადისოდ უზრუნველყოფილია სტალინური კონსტიტუციით, საბჭოთა ხალხები ყოველდღიურად სარგებლობენ მისი სიკეთით, შრომის, დასვენების უფლებებით. მთელი საბჭოთა ხალხი, გმირული წითელი არმია ერთგულად დგას უძვირფასესი კონსტიტუციის დაცვის სადარაჯოზე.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს კარგად გვახსოვს, რომ საბჭოების ქვეყანა გარემოცულია კაპიტალისტური ქვეყნებით. ეს გვავალდებულებს კიდევ უფრო გავშალოთ ქვეყნის თავდაცვა, გავაძლიეროთ კლასობრივი სიფხიზლე და არავის მივცეთ უფლება ხელი შეახოს ჩვენს ბედნიერ ქვეყანას, რომლის მიღწევებიც ამეტყველებულია საბჭოთა კონსტიტუციის ფურცლებზე, კონსტიტუციისა, რომლის ავტორიც დიდი სტალინია.

ურჩი მოქალაქე

თავაშვებული მოქალაქეა კოტე ფანჩულიძე, მისთვის საბჭოთა კანონების მოქმედება არ არსებობს, ის ყველაფერს თავისი “არშინით” ზომავს.

ამ ადამიანს სამ წელიწადს მალულად ჰქონდა მოწყობილი სამჭედლო და როგორც სურდა ისე აძრობდა ტყავს მომხმარებლებს. ფანჩულიძის ეს სპეკულანტური მოქმედება გაიგო რაიფინგანის უფროსმა საგადასახადო ინსპექტორმა ამხ. ალ. ლომიძემ და თანახმად არსებული კანონისა იგი დაბეგრეს 1100 მანეთით, ფანჩულიძემ კი შური ჩაიდო “ღვარძლიან გულში”.

8 ნოემბერს, სურამიდან მომავალ ალ. ლომიძეს დაეწია ფანჩულიძე, ჯერ “მეგობრული” სალამი მისცა, შემდეგ კი თავის “მტერს” ფიზიკურად გაუსწორდა და მგზავრები რომ არ გამოჩენილიყვნენ ა. ლომიძის დასაცავად, მას სიკვდილით გაუსწორდებოდა.

ხულიგან და სპეკულანტ ფანჩულიძეს სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

შ. ფრანგიშვილი

სიკვდილი „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეებს
ასეთია ჩვენი რაიონის მშრომელთა ერთსულოვანი მოთხოვნა
არავითარი დანდობა მოღალატეებს

პირველ მარტს შესდგა ხაშურის ამხანაგ ბერიას სახელობის ელდეპოს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგი. დამსწრენი უდიდესი აღშფოთების გრძნობით გაეცვნენ “მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის” მონაწილეთა ჯაშუშურ-მავნებლურ-დივერსიულ მოქმედებას.

სიტყვებში გამოსული ამხანაგები: ჩხენკელი, კურტანიძე, ქვირია და სხვა. აღნიშნავდნენ, რომ ფაშიზმის პირსისხლიანმა აგენტებმა “მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკის” მონაწილეებმა ჩვენი ქვეყნის წინაშე უსაზიზღრესი დანაშაული ჩაიდინეს; ისინი ჰყიდდნენ საბჭოთა კავშირს, ხოცავდნენ ღირსეულ ადამიანებს. მათ მოჰკლეს ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანები: კიროვი, კუიბიშევი, მენჟინსკი, გორკი და სხვა. მშრომელი ხალხის მტრები უნდა მოისპონ. პროლეტარული სასამართლო, რომელიც ამჟამად ასამართლებს მათ, ღირსეულ სასჯელს მიუზღავს.

ჩვენ საკუთარი მკერდით დავიცავთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის ძვირფას მონაპოვარს, რკინის კედლად გარს შემოვერტყმევით ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ სტალინს, კიდევ უფრო ავიმაღლებთ რევოლუციურ სიფხიზლეს და საწარმოო დავალებას 150 პროცენტით შევასრულებთ,-ნათქვამია ელდეპოს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლუციაში.

გულგრილი პროპაგანდისტი

ქემფრის პარტსაკანდიდატო პოლიტსკოლის პროპაგანდისტი ამხ. გ. ლომიძე თავის მოვალეობის შესრულებას გულგრილად ეკიდება-მეცადინეობას არასაპატიო მიზეზით ხშირად აცდენს. 14 და 21 მარტს პოლიტსკოლის მსმენელებმა პროპაგანდისტს დიდხანს უცადეს, მაგრამ იგი მეცადინეობის ჩასატარებლად არ გამოცხადდა. უმოქმედო პროპაგანდისტ ლომიძემ თავის მოვალეობა უნდა შეიგნოს.

ს. აბულაძე

შაქრის ჭარხლის სტახანოველი

ზემო აძვისის კოლმეურნეობის წევრმა ანდრო ხაჩიძემ ენერგიული შრომით კოლმეურნეთა სიყვარული დაიმსახურა. ის ყველა სამუშაოს კარგი ხარისხით ასრულებს, დილით სამუშაოზე ადრე გამოდის და იქიდან თავის დროზე ბრუნდება. ასეთი მუშაობით ანდრო დღიურ ნორმებს ორმაგად და უფრო მეტი გადაჭარბებით ასრულებს. შაქრის ჭარხლის რიგთა შორის გაფხვიერება და გამოხშირვა ხაჩიძემ მასში გაპიროვნებულ ნაკვეთში 7 კალენდარულ დღის ნაცვლად, 3 დღეში და მაღალი ხარისხით ჩაატარა.

ანდრო შესანიშნავად უვლის მუშა პირუტყვს. კარგი ზრუნვით და დასუფთავებით მოვლილი ხარები სანიმუშონი არიან.

პ. ხაჩიძე

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“2019 წ.#41,42,44,45,46,47,„ხმ“,2020 წ.#2)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

აქ მხოლოდ ერთ მომენტზე უნდა შევაჩეროთ ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ პროფ. პ. ზაქარაია სწორედ განსაზღვრავს ციხისა და ქალაქის ურთიერთდამოკიდებულებას, არასწორად აქვს გაგებული ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები- „არს საშუალს ციხე“. აქ ვახუშტი იმაზე კი არ მიგვანიშნებს, რომ ციხე ქალაქის შუაშია მოქცეული, არამედ იძლევა მის დახასიათებას და მიუთითებს, რომ სურამის ციხე სიდიდის მიხედვით საშუალოა, იგი დიდი ციხე არ არის, მაგრამ არც პატარაა, საშუალოა. ამდენად, ვახუშტის ცნობის პ. ზაქარაიასეული გააზრება ქალაქისა და ციხის ურთიერთობის განსასაზღვრავად არ გამოდგება.

რასაც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს სურამის ციხის შესახებ, იგივე დასტურდება სხვა ავტორებთანაც (ევლია ჩელები, ჟან შარდენი და სხვები). ეს ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სურამის ციხე პატარა, საშუალო ციხე-სიმაგრეა; ასახელებენ მისი გარნიზონის რაოდენობასაც, რაც საკმაოდ მცირეა და სხვა. იმაზეც მიუთითებენ, რომ იგი სურამთან, დასახლებულ პუნქტთანაა ახლოს. რ ო გ ო რ ი განვითარებაც არ უნდა ჰქონოდა სურამის ციხეს, იგი მაინც არ იქნებოდა ციხე-ქალაქი, ადგილზე ამის არავითარი მონაცემები არ არსებობს. ამაზე მიგვანიშნებს უცნობი იტალიელი მხატვრის გრავიურაც. მართალია ციხის გარშემო მოჩანს გალავნის ნაწილი, რაღაც შენობები, მაგრამ ეს მაინც არ მიუთითებს, რომ იგი ციხე-ქალაქია. 1770 წლის აპრილის აღწერით, სურამში 200 კომლი მოსახლეა (დაახლოებით 1000-ზე მეტი კაცი), რომელთა განთავსება ციხის შიგნით შეუძლებელი იქნებოდა, მით უფრო, რომ ყველა ავტორი მიუთითებს, რომ იგი საშუალო ციხეა და მაღალ კლდეზეა აგებული. ციხის ასეთი განლაგება კი მოსახლეობის ციხის შიგნით ცხოვრების არავითარ შესაძლებლობას არ იძლევა. სურამის ციხეში მხოლოდ მისი მცირერიცხოვანი გარნიზონი დგას. აკი ერეკლე მეფის არაერთ ბრძანებასა და „განწესებაში“ მითითებულია, რომ ციხეში აუცილებელია „რაერთიც მოუნდესთ“ იმდენი მცველის ყოფნა, დაყენება და ა.შ.

ქალაქი სურამი ციხის გარეთაა, მის გარშემოა განსახლებული მოსახლეობა.

მაგრამ მაინც როგორი იყო ქალაქის განვითარება ციხის გარშემო?

როგორც ცნობილია, სურამი თავიდანვე წარმოდგენილი იყო ქართველი, ებრაელი და სომეხი მოსახლეობით. ვახუშტის მიხედვით, „...არს სურამი, მცირე ქალაქი, მოსახლენი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი...“.

თუ გვიანდელ ცნობებს მივიღებთ მხედველობაში, მოსახლეობა სურამში ციხის გარშემო ეთნიკური ნიშის მიხედვით უბნებად ცხოვრობს. ალბათ, ასე უნდა ყოფილიყო ადრეც.

1878 წელს, ჟურნალი „ივერია“ წერს: „სურამი უბან-უბან არის დაყოფილი მცხოვრებთა კვალობაზედ. არის განათლებულთა უბანი, გლეხთა უბანი, სომეხთა უბანი და ურიათა უბანი“.

იგივე „ივერიის“ 1888 წლის ცნობით, „სურამს ძველთაგანვე, ციხის გარდა, შერჩენია სომხები და ურიები, რომელნიც ციხის გარშემო ცხოვრობენ“.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, ისევე როგორც XIX საუკუნეში, წინა საუკუნეებშიც, უბნებად იყო წარმოდგენილი ქალაქი სურამი. ციხის გარშემო იყო სომხებისა და ებრაელების დასახლება, აქვე უნდა ვივარაუდოთ ქართველი მოსახლეობის რაღაც ნაწილიც, რაზეც უნდა მიგვანიშნებდეს ამ მხარეს (მდ. სურამულას მარცხენა სანაპირო) ქართული ეკლესიების - კვირაცხოველის, ღვთისმშობლისა და წმ. მარინეს ეკლესიების არსებობაც.

მაგრამ ქართული მოსახლეობა ძირითადად მაინც მდ. სურამულას მარჯვენა მხარეს ჩანს. ღვთაებისა და სამების ეკლესიების სიახლოვეს. აქ უნდა ვიგულისხმოთ ჟურნალ „ივერიის“ დასახელებული „განათლებულთა უბანი“ და „გლეხთა უბანი“. „განათლებულში“ თავადაზნაურობა, ხოლო „გლეხებში“ ჩვეულებრივ ქართველი მოსახლეობა უნდა მოვიაზროთ.

ზოგიერთ ისტორიულ წყაროში გვხვდება „ზე სურამიც“. „ზე სურამი“ დაფიქსირებულია რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარში, უფრო ადრე დოროთეზ კათალიკოსის

იტრიის ღვთსმშობლის ეკლესიისადმი შეწირულობის ცნობილ სიგელში და სხვა. „ზე სურამი“ ზემო სურამს ნიშნავს და იგი გვერდისუბანი უნდა იყოს. ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ წყაროებში ერთდროულად, მონაცვლეობენ „ზე სურამი“ და გვერდისუბანი. „ზე სურამისა“ და გვერდისუბნის იდენტურობაზე მიგვანიშნებს აგრეთვე მთელი რიგი სხვა მონაცემებიც.

ამრიგად, სურამის ციხის გარშემო არსებობს ქალაქი. ციხე-სიმაგრე კი მის სიახლოვეს, ამაღლებულ გორაკზეა აღმართული.

ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებში სურამის ციხე XVI-XVII საუკუნეებიდან იხსენიება. ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ შუა საუკუნეებში ამ ციხეს ქვეყნის თავდაცვის საქმეში უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და XIX საუკუნის დასაწყისამდე ერთ-ერთ ძლიერ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. იგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ციხე-სიმაგრედ ითვლებოდა და მხოლოდ სამეფო ხელისუფლებისაგან იმართებოდა.

სურამის ციხის მნიშვნელობა გაიზარდა მას შემდეგ, რაც საქართველო დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად (XV ს.) და განსაკუთრებით კი, როცა სამხრეთ საქართველო ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა.

სურამის ციხე ძნელად მისადგომ ციხედ ითვლებოდა. იგი კლდოვან კონცხზეა აგებული, მისი კედლები საკმაოდ სქელი და მყარია. სწორედ ეს გარემოება განაპირობებდა იმ ფაქტს, რომ სურამის ციხე ყოველთვის ყურადღების ცენტრში ყოფილიყო, როგორც ქართველი ისტორიკოსების, ასევე უცხოელი მოგზაურებისა და ავტორების მხრიდან. მათ შრომებში ლაკონურად, მაგრამ საინტერესოდ არის აღწერილი იგი და მასთან დაკავშირებული მოვლენები. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მის შესახებ მოგვეპოვება XVIII საუკუნის უცნობი იტალიელი მხატვრის მიერ შესრულებული გრავიურა, რომელიც მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის მისი იერსახის შესახებ. „...არს საშუალს ციხე, მაღალ კლდესა ზედა, მტკიცე“-აღნიშნავს XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი სურამის ციხის შესახებ.

ხოლო უფრო ადრე, XVII საუკუნის გამოჩენილი თურქი მოგზაური ევლია ჩელები, რომლის ცნობებიც საქართველოს შესახებ განეკუთვნება 1640-1647 წლებს, სურამის ციხის შესახებ წერდა: „გორის ციხეც ჩვენს მარჯვნივ, ერთ მაღალ გორაკზე მოჩანდა. მასთან არ მივსულვართ, შორიდან დავათვალიერეთ. აქედან გზა გავნაგრძეთ პირდაპირ და სურამის ციხესთან მივედით. თბილისის ხანის მბრძანებლობაში მყოფი, გორაკზე მდებარე პატარა ციხეა, მაგრამ უაღრესად ძლიერი, მტკიცე სიმაგრეა, რომლის ბურჯები და კედლები ცას ებჯინება. მისი ამშენებელი ანუშირვანია. საქართველოს ერთი უძველესი ციხეთაგანია“.

ციხე-სიმაგრის ევლია ჩელებისეული აღწერილობა ეხმიანება ზემოთ აღნიშნული იტალიელი მხატვრის მიერ შესრულებულ გრავიურას.

ამასვე აღნიშნავს სურამის ციხის შესახებ ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა 1672-1673 წლებში. იგი წერს, რომ სურამის „...ახლოს დიდი და კარგად ნაგები ციხე-სიმაგრეა. მისი გარნიზონი ასი კაცისგან შედგება“.

სურამის ციხის მიმართ ყურადღებას იჩენს გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსიც, რომელიც 1778-1781 წლებში იმყოფებოდა ერეკლე II-ის კარზე. ნაშრომში - „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა,“ - იგი აღნიშნავს, რომ „ეს ქალაქი (იგულისხმება სურამი -თ. ლ.) მდებარეობს მდინარე სურამულაზე და უწინ კოლხეთს ეკუთვნოდა. იგი გამაგრებულია მთაზე მდებარე მაღალი ციხით...“.

ალექსანდრე ამილახვარი (XVIII ს.) მიუთითებს სურამის ციხის უძლეველობაზე და წერს: „მდინარე კვირას (მტკვრის -თ.ლ.) აყოლებაზე შემდეგი მნიშვნელოვანი ადგილები მდებარეობს. ესენია: სურამი, ალი, ახალდაბა. ამათგან პირველი უძველესი დროიდან სახელგანთქმულია თავისი ციხის უძლეველობით, რომელმაც ჩვენს საუკუნეშიც (ნადირ შაჰის დროს) განიცადა სამწლიანი ალყა სპარსელებისა და ჩვენიანებისა, რომლებიც ახლანდელი მმართველის წაქეზებით ამირახორის წინააღმდეგ გამოვიდნენ, მაგრამ ვერაფერს ვერ გახდნენ და იძულებულნი იყვნენ, შერიგებოდნენ მას. ამ ციხის შესახებ უძველესი დროიდან არსებობს თქმულება, თითქოს მისი უძლეველობის მიზეზი იმაშია, რომ მის კედლებში ცოცხლად არის ჩაკირული დედისერთა ვაჟი, რომლის შესახებ დღესაც მღერიან ხალხში გულის გამგმირავ ლექსებს“.

ასე აგვიწერენ ქართველი და უცხოელი ავტორები სურამის ციხეს. თითქმის ყველა ავტორი ერთხმად მიუთითებს მის სიმტკიცესა და სიძლიერეზე, რითაც მას გამოარჩევენ სხვა ციხე-სიმაგრეებისაგან. მან საუკუნეების მანძილზე მთელი რიგი ცვლილებები განიცადა გარეგნული თვალსაზრისით. იგი არაერთხელ იქნა შეკეთებული XVII-XVIII საუკუნეების განმავლობაში და ჩვენს დრომდე მოაღწია თითქმის ისე, როგორც XIX საუკუნის 30-იანი წლებისათვის გამოიყურებოდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ხნის მანძილზე იგი ძლიერ დაზიანდა და საჭირო გახდა გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელება. ჯერ კიდევ 1898 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ აღნიშნავდა: „ეხლა სურამის ციხე აღარას წაარმოადგენს, სამხრეთით სულ ჩამონგრეულია. შერჩენია აღმოსავლეთ-ჩრდილო-დასავლეთით კედლები, ისინიც ძალიან დაზიანებული, შიგ კიდევ ეკლესიის მეტი აღარა დარჩენილა რა. ისიც ძალიან ჩქარა დაინგრევა. ეკლესიის კედლები, ეტყობა დახატული უნდა ყოფილიყო, მაცხოვრის სახე ოდნავღა ეტყობა“.

უკანასკელ პერიოდში სურამის ციხე საგრძნობლად დააზიანა 1991 წლის 28 აპრილს მომხდარმა მიწისძვრამ.

სურამის ციხე-სიმაგრე კომპლექსს წარმოადგენს. მასში შედის გალავანი, ციხე, წმ. გიორგის ეკლესია, კოშკი და სასახლე.

გალავანი. იგი კლდოვანი კონცხის რელიეფს მიუყვება. ნაგებია ნატეხი და თლილი ქვით. გაირჩევა რამდენიმე საამშენებლო ფენა. შესასვლელი ჩრდილოეთის კედლის შუა ნაწილშია. აქ კლდეში ამოკვეთილია საფეხურები. გალავნის ამ მონაკვეთის ზედა ნაწილში ვიწრო სათოფურებია, ჩრდილო-დასავლეთით ყრუ კედელია. გალავნის დასავლეთი ნაწილი დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ 8 მეტრის სიგრძისა და 2 მეტრი სიმაღლის კედელი, რომელზეც, ეზოს მხრიდან, სასახლე იყო მიშენებული. გალავანში, აღმოსავლეთით ჩართულია შიდა კედელი, რომელიც ნაკლებადაა დაზიანებული. თქმულების მიხედვით, სწორედ ამ კედელშია ჩაშენებული ზურაბი. გვიანდელი საამშენებლო ფენა (XVIII ს.) თხელია, მის აღმოსავლეთ კედელში ერთ რიგად განლაგებულია სათოფურები. ციხის თავდაპირველი კედლების ქონგურები გამოყვანილია უხეშად და განაწილებულია არათანაბრად. უფრო გვიან ნაშენი კედლებისა კი პირიქით, ხშირი, ვიწრო და მომრგვალებულია და განლაგებულია თანაბრად.

ციხე. მისი ფართობი 1200 კვ. მეტრია, შედგება ორი ნაწილისაგან: შიდა ციხისა (ციტადელი) და ქვედა ეზოსაგან. შიდა ციხეს უჭირავს კლდის ზედა ნაწილი, ქვედა ეზოს კი კლდის ფერდობები. შიდა ციხე გეგმით არასწორი მრავალგვერდაა (52,4 X 29,3მ.), შედგება გალავნისა და პირამიდული კოშკისაგან. მისი ტერიტორია ნაგრეხებითაა დაფარული.

კოშკი. მდებარეობს შიდა ციხის ჩრდილოეთ ნაწილში. ნაგებობა პირამიდულია, ზემოთ თანდათან ვიწროვდება. მისი ზომებია 12,2 X 12,7 მ. შემორჩენილია მხოლოდ ორი სართული. ორივე სართულს ეზოდან აქვს შესასვლელი. მეორე სართულის სქელ კედლებში ვიწრო სარკმელებია. ნაგებობა მოპირკეთებულია თლილი ქვით.

წმინდა გიორგის ეკლესია. მდებარეობდა ქვედა ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. დაშენებული იყო პირდაპირ კლდის კონცხზე. იგი 1991 წლის აპრილში მიწისძვრამ დააზიანა, მთლიანად ჩამოიქცა მისი გადახურვა, დაინგრა კედლები და განადგურდა შემორჩენილი მხატვრობის ფრაგმენტები.

ეკლესია თარიღდებოდა XI-XII საუკუნეებით. იგი დარბაზული ტიპის ნაგებობას (5,9X6,1 მ.) წარმოადგენდა და ნეგები იყო თლილი ქვით. მას ორი შესასვლელი ჰქონდა - დასავლეთით და ჩრდილოეთით. ეკლესიას განიერი თაღი ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფდა. სამხრეთ ნაწილი აფსიდით მთავრდებოდა, ჩრდილოეთ ნაწილი კი სწორკუთხა იყო. ორივე ნაწილი ერთი ცილინდრული კამარით იყო გადახურული, რომელიც მათ ერთ დიდ დარბაზად აერთიანებდა. თითოეულ დარბაზს თითო სარკმელი ჰქონდა აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ეკლესიის ინტერიერში შემორჩენილი იყო ფეოდალური ხანის მოხატულობის დაზიანებული ფრაგმენტები. საკურთხევლის კონქში „ვედრების“ კომპოზიცია იყო მოთავსებული. მის ჩრდილოეთ კუთხეში ღვთისმშობლისა და ექვსფრთედის ფიგურები, ხოლო ქვემოთ - „მოციქულთა ზიარება“ განირჩეოდა. ასევე, დარბაზში, კამარის ჩრდილოეთ მხარეს, თაღის თავზე ცალკეული ფრაგმენტების სახით შემორჩენილი იყო „ამაღლების“ კომპოზიციის ნაწილი, ქვემოთ - ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში, წმინდანთა მჯდომარე ფიგურები. დასავლეთის კედლის ჩრდილოეთის მონაკვეთი, ზემოთ ,„ლაზარეს აღდგინებას“ ეჭირა. ჩრდილოეთის ნავის კამარაში ჩანდა მხოლოდ ანგელოზთა ფრთები, ქვემოთ, სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლების აღმოსავლეთ ნაწილში - მთავარანგელოზთა ორ-ორი ფიგურა.

მოხატულობისათვის დამახასიათებელი იყო გამოსახულებათა მცირე ზომები და შესრულების გრაფიკულობა. კოლორიტში ჭარბობდა მოწითალო-ყავისფერი, მუქი ლურ-

(გაგრძელება V გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

(გაგრძელება)

ჯი, მოწითალო-აგურისფერი, მონაცრისფრო-თეთრი და ყვითელი ფერები. ეკლესიას ფასადებზე გააჩნდა დეკორის, ხოლო სარკმელების მორთულობიდან შემორჩენილი ჰქონდა თაღების და რელიეფური ღილაკის ფრაგმენტები.

ეკლესიის სახურავი ორფერდა იყო.

ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარეობს კამარით გადახურული პატარა სათავსი (2 X 3 მ.), რომელსაც შესავლელი დასავლეთიდან აქვს. კარის თავზე გაჭრილია სარკმელი. სათავსი ნაგებია თლილი ქვით და პირდაპირ ეკლესიის კედელზეა მიშენებული.

სასახლე. მისი შემორჩენილი ნანგრევები მდებარეობს ქვედა ეზოს დასავლეთ მონაკვეთში. იგი ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ ორი სართულის ნანგრევები. გადახურვა კამარული ჰქონია. სასახლის აღმოსავლეთ კედელში ღრმა ნიშები და თაღების ფრაგმენტებია. განირჩევა რამდენიმე საამშენებლო ფენა.

გალავნის დასავლეთ კედელზე, რომელზეც მიშენებული იყო სასახლე, შეინიშნება რამდენიმე სათავსოს ფრაგმენტი.

გვირაბი. ციხის აღმოსავლეთით, კლდეში მოთავსებულია გვირაბი. მისი შესასვლელი იწყება ფუძის გარეთა მხრიდან, გრძელდება ციხე-სიმაგრის ქვეშ, დასავლეთის მიმართულებით, თანდათან ეშვება ქვემოთ მდინარე სურამულას კალაპოტისაკენ. ამჟამად გვირაბი გრძელდება 12-16 მეტრზე, შემდეგ კი ქვითაა ჩახერგილი.

ხალხში გავრცელებული გადმოცემის თანახმად, სურამის ციხე ამ გვირაბით უკავშირდებოდა ამაღლების ეკლესიას, რომელიც მისგან დასავლეთით, სოფელ გვერდისუბნიდან ერთი კილომეტრის დაშორებით მთის ფერდობზე მდებარეობს. იმავე გადმოცემით, ციხის ალყის დროს, ამ გვირაბით ციხე მარაგდებოდა სასმელი წყლით, აგრეთვე უკავშირდებოდა გარე სამყაროს.

XX ს-ის 80-იანი წლების შუა ხანებში სურამის ციხეზე წარმოებდა სარესტავრაციო სამუშაოები (არქიტექტორი ტ. კიპაროიძე), რის შედეგადაც გამაგრდა დაზიანებული კლდის კონცხი, რომელზეც დაშენებულია ციხე. რესტავრაცია გაუკეთდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებს, კოშკს.

1987 წლის ზაფხულში, სარესტავრაციო სამუშაოების პარალელურად, ციხეზე მიმდინარეობდა გაწმენდითი სამუშაოები. დასავლეთის კედლის გასწვრივ სასახლის ნანგრევებიდან ჩრდილოეთის კედლამდე გამოჩნდა რამდენიმე ოთახის (სათავსის) საძირკველი, რომელიც მანამდე, ოდნავ შეიმჩნეოდა. აქვე გამოვლინდა ფეოდალური ხანის კერამიკული მასალა (მათ შორისაა მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები), რომელიც დღეს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

XVI-XVIII საუკუნეებში დიდი ბრძოლები წარმოებდა სურამის ციხე-სიმაგრის ირგვლივ. იგი, ამ ხნის მანძილზე, ხშირად, ოსმალეთისა და სპარსეთის ინტერესების სფეროს წარმოადგენდა. ვისი გავლენის ქვეშ იქნებოდა ეს ციხე-სიმაგრე, მის ხელში იყო გვიანდელი ზემო ქართლის კონტროლი და იმ გზების ხელთქონებაც, რომელ გზებსაც ეს ციხე-სიმაგრე დარაჯობდა. თავისთავად ცხადია, ციხე-სიმაგრე უმეტესად ქართლის სამეფო კარის ხელში იყო, რადგან ზემოთ აღნიშნული გარემოება უფრო მეტად მის ინტერესებში შედიოდა.

სურამის ციხე-სიმაგრეს XVI საუკუნის 10-იანი წლებიდან ვხვდებით საისტორიო წყაროებში, კერძოდ, სპარსულში. ქართულ წყაროებში კი XVII საუკუნის 20-30-იანი წლებიდან გვხვდება.

1518 წელს, სპარსელი ისტორიკოსის ჰასან რუმლუს ცნობით, სეფიანთა ირანის შაჰის ისმაილ პირველის დავალებით, დივ-სულთანი სამცხის ათაბეგ ყვარყვარესთან ერთად, ლაშქრით საქართველოსაკენ გამოემგზავრა. „დივ-სულთანმა ციხე გორი და სურამი დაიპყრო“-დასძენს ჰასან რუმლუ.

მართალია, აქ, ჰასან რუმლუს ცნობით, პირდაპირ არ არის მითითება სურამის ციხეზე, როგორც ეს გორის ციხეზეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დროს აქ ციხე-სიმაგრე არ არის. საქართველო უკვე კარგა ხანია, რაც სამეფო--სამთავროებად არის დაშლილი და ქართლის სამეფოს მხრიდან, დასავლეთით საზღვრის დაცვა და კონტროლი ამ მხარეში ციხე-სიმაგრის უქონლობის გარეშე წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო. საუკუნეების მანძილზე კი ასეთი როლი ქართლის დასავლეთით სასაზღვრო ზოლში სწორედ სურამის ციხე-სიმაგრეს ეკისრებოდა. შემდგომი პერიოდის მოვლენები--ახალციხის მხარეში ოსმალეთის გაბატონებისა და ქართლის სამეფოსთან მისი დამეზობლება. სწორედ ამის სასარგებლოდ მეტყველებს.

XVI საუკუნის 20-იანი წლებიდან სურამი გვიანდელი ზემო ქართლის სხვა პუნქტებთან ერთად იმერეთის სამეფოს შემადგენლობაშია. 1525 წელს, როცა ქართლის მეფე დავით X იძულებული გახდა, ტახტიდან გადამდგარიყო და ბერად აღკვეცილიყო, სამეფო ტახტის უზურპაცია მისმა ძმამ გიორგი IX (1525-1527) მოახდინა. ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ - ლუარსაბმა დახმარებისათვის იმერეთის მეფეს ბაგრატ III (1510-1565) მიმართა, რომლის ხელშეწყობითაც იგი. 1527 წელს. ქართლის ტახტზე ავიდა. სწორედ ამ დახმარებისათვის მიუცია ბაგრატ III სურამი, ალი და ახალდაბა. „...მისცეს მეფე ბაგრატს ქართლი, მეფესა იმერეთისასა, არადეთის წყალს გამოღმა, ალი, სურამი და ახლდაბა“.

ცხადია, იმერეთის მეფის ხელში უნდა გადასულიყო სურამის ციხე-სიმაგრეც. ეს მდგომარეობა XVI საუკუნის 60-იან წლებამდე გრძელდებოდა. კერძოდ, სანამ სპარსეთის შაჰმა თამაზმა 1554 წელს არ დაიკავა სურამის მხარე. ამ მოვლენასთან დაკავშირებით სურამის ციხე-სიმაგრე კვლავ სპარსულ წყაროში მოიხსენიება. იმერეთის მეფე ბაგრატ III პრეტენზიას აცხადებს ყიზილბაშების მიერ დაკავებულ სურამზე და ოსმალეთის სულთანს - სულეიმან 1-ს სთხოვს დახმარებას (164).

ამის თაობაზე საინტერესო ცნობაა დაცული სპარსეთის შაჰის, თამაზის, დიდმოხელეების სევინდიუქ ბეგისა და უსტაჯლუ შაჰ ყულუ ბინ ჰამზას წერილში, რომელიც მათ გაუგზავნეს ოსმალეთის სულთნის, სულეიმანის ერთგულ მოხელეს, არზრუმის მმართველ აია ფაშას.

ამ წერილიდან ვიგებთ, რომ შაჰ-თამაზმა, ქართლში მე-4-ე ლაშქრობის დროს, დაიკავა არადეთის წყალი, ალი, სურამი და ახალდაბა. ყიზილბაშთა ჯარების ასეთმა მოქმედებამ უკმაყოფილება გამოიწვია ბაგრატ მეფის მხრიდან, რომელიც სამართლიანად მიიჩნევდა ამ ტერიტორიას იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბაგრატმა დახმარებისათვის სულეიმან 1 მიმართა, რომელმაც თავის მხრივ ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხი მოსთხოვა ირანის მესვეურებს. ეს ამბავი დაემთხვა ირან-ოსმალეთის პირველ ომთან (1541-1555) დაკავშირებულ საზავო მოლაპარაკების მსვლელობას. ამიტომ არის, რომ შეშფოთებული სევინდიუქ ბეგი და უსტაჯლუ შაჰ ყულუ ბინ ჰამზასი ცდილობენ, წარმოადგინონ ირანის მოქმედება სავსებით გამართლებულად, ხოლო ბაგრატ მეფის მოთხოვნები კი უსაფუძვლოდ. „რასაც ბაში-აჩუკი თავის ციხისა და სიმაგრის (ე.ი. სურამის ციხე-სიმაგრის - თ.ლ.) გარშემო წერდა, - აღნიშნავენ ისინი წერილში, - ასევე მოყვანილი იქნება ჭეშმარიტებისა და სამართლის თანახმად, რათა თქვენ ბრწყინვალე აზრს ნათლად და გამოკვეთილად შესძლოს დაინახოს, რომ მისი (ე.ი. ბაგრატ III -თ.ლ.) მოხსენებიდან მისი მიზნები გამომდინარეობენ, რათა უბედურება აიცილონ საკუთარი თავიდან და კვლავ ჩამოაგდოს შუღლი მაჰმადიანთა შორის, ასე რომ ეს არ შეეფერება სინამდვილეს და ეს საქმე არ ღირს იმად, რომ მასზე მიმდინარეობდეს მოლაპარაკება, რათა მოგვარდეს ურთიერთობა ლუარსაბისა და ბაში-აჩუკის ქვეყნებს შორის, გამოირკვეს და მხედველობაში მიღებულ იქნეს ამ ქვეყნებს შორის არსებული საზღვარი. ხოლო ის მიწები და ციხეები, რომლებიც დასახელებული უთანხმოების მიზეზნი არიან, არავითარ შემთხვევაში მასა და მის ქვეყანას არ ეკუთვნიან. მოკლედ რომ ვთქვათ, ასეთია ბაში-აჩუკის მოთხოვნები სურამის პროვინციაზე და ციხეზე“.

ეს წერილი ძალიან საინტერესო დოკუმენტია საქართველოსა და ირან-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიისათვის, მაგრამ აქ ჩვენთვის საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ამ ურთიერთობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სურამს და მის ციხეს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეს დოკუმენტი არის ჯერ-ჯერობით ერთადერთი პირველი ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც სურამის ციხე უშუალოდ მოიხსენება.

საინტერესო ცნობებია დაცული სურამის მხარის შესახებ, იტრიის ეკლესიისადმი ქართლის კათალიკოსის დოროთეოზის შეწირულობის ცნობილ სიგელში. მართალია, სიგელში პირდაპირი მინიშნება არ არის სურამისა და მისი ციხე-სიმაგრის შესახებ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ XVI საუკუნის 40-70 წლებში იგი განზე ვერ დარჩებოდა იქვე ახლოს, იტრიასა და აქ მდებარე ეკლესიის თავს დატრიალებული მოვლენებისაგან. მხედველობაში გვაქვს შაჰ-თამაზის ცნობილი შემოსევები 1541-1556 წლებში და ოსმალების ლაშქრობა ქართლში 1579 წელს. სიგელის თანახმად, იტრიის ეკლესიამ XVI საუკუნის 40-70-იან წლებში არაერთხელ განიცადა აოხრება ჯერ შაჰ-თამაზის, ხოლო შემდეგ ოსმალების მხრიდან. უნდა ვიფიქროთ, რომ იგივე ბედი სწვეოდა სურამსა და მის ციხე-სიმაგრესაც. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1554 წელს შაჰ-თამაზმა სურამი და მისი ციხე-სიმაგრე დაიჭირა. იგივე მოვლენას ჰქონდა ადგილი 1579 წელს ოსმალების შემოსევისას.

ამ პერიოდს მიეკუთნება ერთი ცნობა, რომელიც ქართლის სხვა მხარეებთან ერთად სურამის მხარის აოხრებას ეხება. მასში კარგად ჩანს ის სისასტიკე, რასაც დამყრობლები იჩენდნენ მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე. 1557 წელს საქართველოს შემოესია ყარაბადის ბეგლარ ბეგი შავერდი სულთანი ზიად ოღლი ყაჯარი. ქართლის მეფე სიმონ 1 (1556-1601 წწ.) იძულებელი იყო, მთებისთვის შეეფარებინა თავი. მტერმა საშინლად აიკლო ქართლი, მათ შორის სურამის მხარეც. სპარსი ისტორიკოსი ჰასან რუმლუ ამის შესახებ წერს: „ღაზიებმა გორის, სურამისა და საბარათიანოს ვილაეთი დაარბიეს, სოფლები და მხარეები ააოხრეს, ყანები და ხეები მწიფე ხილით ძირიანად ამოგლიჯეს (მიწიდან) და გამარჯვებულნი უამრავი ნადავლით განჯაში დაბრუნდნენ“.

XVII საუკუნის 10-იან წლებში, სურამის ციხესთან დაკავშირებული მოვლენები შაჰ აბასის ცნობილ შემოსევებს უკავშირდება. 1614 წელს, კახეთის აოხრების შემდეგ, შაჰ აბასი ქართლში გადმოვიდა თავისი ჯარით. აქ მან გორისა და სურამის ციხეები შეაკეთა და შიგ ყიზილბაშთა გარნიზონები ჩააყენა. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში. იგი წერს: „შაჰმა გადაწყვიტა ქვეყნის სიკეთისთვის ქართლში ორი ციხე აეშენებინა: ერთი სურამში, რომელიც ახალციხისა და ბაში-აჩუკის (იმერეთის - თ.ლ.) ახლოს არის და მეორე - გორში ქართლის მეფეთა ძველ სატახტო ქალაქში. ქვეყნის მბრძანებლის ფირმანის თანახმად იმ ორ ადგილას დაწყებულ იქნა ციხის შენება და რამოდენიმე დღეში მოათავეს და გაამაგრეს ორივე“.

ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ „ქვეყნის სიკეთისათვის“ შაჰ აბასის ზრუნვა, თავისი პოზიციების გამაგრებას ნიშნავდა ქართლში. ამიტომაც ამაგრებს იგი სურამის ციხეს, „რომელიც ახალციხისა და ბაში-აჩუკის (იმერეთის) ახლოს არის“. ახალციხის მხარე ამ დროს ოსმალეთის, რომელთანაც გართულებული ურთიერთობა აქვს, ხელშია, ხოლო იმერეთის სამეფოში, რომელიც 1555 წლის ამასიის ზავით ოსმალეთის გავლენის სფეროა, თავს აფარებენ ქართლისა და კახეთის მეფეები - ლუარსაბი და თეიმურაზი. სურამის ციხის ხელთქონება კი შაჰისათვის ქართლის სამეფოს დასავლეთ საზღვრების ხელშეუხებლობის გარანტიას ნიშნავდა.

შემდგომ წლებში, როგორც ჩანს, სურამის ქართველების ხელშია. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ 1624 წელს გიორგი სააკაძემ სპარსელების ახალი თავდასხმის მოლოდინში, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, გაამაგრა „...ციხენი კიკნათბერი, ალისა, სურამისა, კეხვისა ...“, თვითონ გიორგი სააკაძე კი ახალციხისკენ გაემგზავრა, სადაც მისი ოჯახი იყო .

ამ ფაქტმა ასახვა ჰპოვა მხატრულ ლიტერატერაშიც. კერძოდ, იოსებ სააკაძე, XVII საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი მოღვაწე და პოეტი, თავის „დიდმოურავიანში“ სურამისა და ალის ციხეების გამაგრებასთან დაკავშირებით გიორგი სააკაძეს ათქმევინებს:

„ალ, სურამი გავამაგრე, არ არს ადვილ ასაღები,
ფრთხილობდეს და გუშაგობდეს, არ არიან სულ დამღები,
ადვილ ძალად ვერ წაართმენ, ვერ არიან ბარგთ წამღები,
უთხარ: „ადრე მოელოდეთ, მალ გეწევა სისხლთა მღები!“.

მაგრამ „არ არს ადვილ ასაღები“ სურამის ციხე, მასთან ერთად ალის ციხეც, „სისხლთა მღებმა“ სპარსალებმა მალე დაიკავეს.

1632 წელს ქართლში გამეფდა პირველი მაჰმადიანი მეფე როსტომი, რომელმაც მეფობის დასაწყისშივე იზრუნა თავისი პოზიციების განსამტკიცებლად. ამ მიზნით, ვახუშტის ცნობით, მან 1632 წელსვე აღადგინა „... გორის ციხე და შეაყენეს მცველნი ყიზილბაშნი, აგრეთვე სურამის ციხესა შინა“.

ასეთივე შინაარსის ცნობას გვაწვდის ბერი ეგნატაშვილიც: „მაშინ აღაშენეს ციხე გორისა და შეაყენეს მცველნი, და კუალად შეაყენეს მცველნი სურამის ციხეშიაცა“. სურამის ციხე, ამ პერიოდიდან, საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმალობაში, - XVIII საუკუნემდე, - ყიზილბაშებს უკავიათ. ამას ადასტურებს არაერთი საისტორია წყარო და იმ პერიოდის დოკუმენტი. ყიზილბაშებთან ერთად სურამის ციხეში ქართველებიც დგანან, რაც ჩანს გიორგი ბატონიშვილის მიერ 1584 წელს იტრიის ეკლესიისათვის მიცემულ სიგელზე როსტომის მიერ 1633 წელს გაკეთებული წარწერიდან. როსტომი ამით კიდევ ერთხელ უმტკიცებს იტრიის ეკლესიას მანამდე მიცემულ შეწირულობასა, ამავე დროს ,აფრთხილებს ყველას და მათ შორის სურამის ციხის მოხელეებსაც, რომ მათ არავითარი უფლება არ აქვთ, რაიმე ვალდებულება დააკისრონ იტრიის ეკლესიას: „ასრე რიგად ნასყიდი და შეწირული არის, რაიმე სურამის ციხეში მდგომ არც ქართველთა და არც თათართა არც ციხეზედ მუშაობითა და არც სხვის სათხოვრით ხელი არა აქუს და ნურც არას სთხოვონ, არ დიდის დაჭირების საქმითა არა ამუშაონ და არც სამასპინძლო ეთხოებოდეს“

როგორც ცნობილია, როსტომის გამეფებამ ქართლში ფეოდალთა ერთი ნაწილის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მათ გვერდით ედგა თეიმურაზ მეფე. სხვათაშორის 1635 წლით დათარიღებულ შაჰ-სეფის ფირმანიდან ჩანს, რომ როსტომსა და თეიმურაზს შორის ერთ-ერთი ბოლო ბრძოლა სურამთან მოხდა. „...დიდებული ხელმწიფეების შთამომავალმა, - ნათქვამია ფირმანში, - ქველმა ხელმწიფემ, დიდებულმა და ბედნიერმა ჩვენმა ძმამ როსტომ-ხანმა, საქართველოს ვალიმ, მოგვახსენა იმ სიდიადის საფარველის ვაჟკაცობა, თავდადებისა და ერთგულების შესახებ ამჟამად, როცა თეიმურაზი დამარცხებული იქნა სურამის სანახებში და გაიქცა“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში პროექტები, წელსაც 40 მლნ ლარით დაფინანსდება

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ბიუჯეტი, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება, შარშანდელის მსგავსად, წელსაც 40 მლნ ლარია. პროექტების ჩამონათვალში მცირე ცვლილებები შევა და არსებულ კატეგორიებს გზისპირა მოსაცდელები დაემატება. კორექტივები დოკუმენტში, საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, გასულ წელს შერჩეული პროექტების ანალიზის შედეგად და საჭიროებებიდან გამომდინარე განისაზღვრა.

2019 წელს, პროგრამის ფარგლებში, 4800-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მუნიციპალიტეტებში სულ 3 ათასზე მეტი საერთო კრება ჩატარდა და მოსახლეობამ ყველა პროექტი თავად შეარჩია. აქედან, გურიაში განხორციელდა 376 პროექტი, იმერეთში – 1042 პროექტი, კახეთში – 366 პროექტი, მცხეთა-მთიანეთში 536 პროექტი, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში 275 პროექტი, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 1061 პროექტი, სამცხე-ჯავახეთში – 309 პროექტი, ქვემო ქართლში – 399 პროექტი და შიდა ქართლში – 447 პროექტი.

ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის გარდა, გასულ წელს, პროექტების განხორციელებისთვის მუნიციპალიტეტების თანადაფინანსებამ 6 მლნ ლარი შეადგინა, თანხები კი შემდეგი კატეგორიების მიხედვით გადანაწილდა: გზების რეაბილიტაცია, გარე განათებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, წყლის სისტემების გამართვა, სასაფლაოს კეთილმოწყობა და სანიაღვრე არხების გაჭრა-გაწმენდა.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში წაღვლის საჯარო სკოლა ნახევარფინალში გავიდა

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი 2019 წლის 26 ოქტომბერს გამოცხადდა. კონკურსი მეექვსე წელია ხორციელდება ათასწლეულის ფონდის მიერ, საქართველოში აშშ-ის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. კონკურსის მიზანია ახალგაზრდებში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის წახალისება. კონკურსის შედეგად გამოვლინდება სამი საუკეთესო გუნდი საქართველოს მასშტაბით, რომლებიც წარმოადგენენ პროექტებს ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო სფეროში. პირველ ადგილზე გასული გუნდი 2020 წლის ზაფხულში გაემგზავრება NASA-ში, აშშ-ში. მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდები, ასევე, მონაწილეობას მიიღებენ STEM პროგრამებში და/ან დაჯილდოვდებიან სხვადასხვა პრიზებით.

წლევანდელ კონკურსში მონაწილეობას იღებდა წაღვლის საჯარო სკოლაც. ამ დღეებში კი გავრცელდა ცნობა, რომ წაღვლის საჯარო სკოლა ნახევარფინალში გავიდა, რომელშიც სულ 32 მონაწილეა.

ნახევარფინალისტ გუნდებთან ინტერვიუები თბილსში, თებერვლის თვეში გაიმართება. ჩვენს მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, ვულოცავთ სკოლას ამ წარმატებას და ვუსურვებთ შემდეგი ნაბიჯიც ასეთივე წარმატებული იყოს. იმედია, ასეც იქნება.

--იუმორი-

კანიბალიზმიღა გვაკლდა...

რეკლამის ისტორია ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იწყება. იტალიაში ვულკანური ფერფლით დაფარული პომპეის გათხრებისას, არქეოლოგებმა ბევრი წარწერა აღმოაჩინეს, რომლებიც სარეკლამო შინაარს ატარებდნენ. საბჭოთა კავშირის დროს, გაქანებული “გეგმიური ეკონომიკის” პირობებში, რეკლამა თითქმის იგნორირებული იყო და, რატომდაც, “კაპიტალისტურ მავნებლობად’ ითვლებოდა. დღეს, ყველას კარგად მოეხსენება, რომ რეკლამის გარეშე, რაიმე კომერციული წარმატების მიღწევა, უბრალოდ შეუძლებელია. რეკლამა ყველგანაა-ტელევიზიების საეთერო დროის ლამის ნახევარი მათ უჭირავთ და არც ყოფით ცხოვრებაში განვიცდით მის ნაკლებობას. ქუჩები პირდაპირ ახუნძლულია სარეკლამო ბანერებით და ზოგჯერ ისეა ეს ბანერები “გადახლართული” ერთმანეთში, ვეღარც თავს გებულობ და ვეღარც ბოლოს. ა,ბატონო მაგალითიც: ხაშურის ცენტრში, ორი სხვადასხვა ბანერის “სინქრონით” მივიღეთ ისეთი კურიოზი, რომელიც თავიდან გაგაურჟოლებს კაცს, შემდეგ კი გაგეღიმება, მაგრამ ვაი ,ასეთ ღიმილს. ისე, როგორია სრულიად უცხო ადამიანი სეირნობს ხაშურის ქუჩებში და უცებ ბანერი: “ქალთა და მამაკაცთა ხორცი”. შეიძლება ვინმე დაინტერესდეს კიდეც და იკითხოს, აქაური ხორცია? არც გაგვიკვირდება, ჩვენი ხორცი რომ ბევრად აღემატება უცხოურს. მაგალითად, ჩინელების ხორცი ძალიან გამომშრალია, იტალიელებისას – მაკარონის სუნი ასდის, ამერიკელებისა – ძალიან მსუქანია, კოლუმბიელებისა – ნარკოტიკებითაა გაჯერებული და ა.შ. ეჰ, ხუმრობა იქით იყოს და სავაჭრო ობიექტების მფლობელებმა პერიოდულად მაინც უნდა ამოწმონ თავისი სარეკლამო ბანერები, თორემ ხედავთ რა “შავ” კურიოზამდე მივდივართ? კანიბალიზმიღა გვაკლდა ქართველებს.?!

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.